



## საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნების ანოტაციები

<i>ANTR104005 ანთროპოლოგია</i>	<i>2</i>
<i>MATH105034 ამროვნების მათემატიკური წესი</i>	<i>3</i>
<i>ECO104015 ეკონომიკის საფუძვლები</i>	<i>3</i>
<i>SCI104005 ბუნებისმეტყველება</i>	<i>4</i>
<i>PH104027 ლოგიკა</i>	<i>4</i>
<i>PH204616 ფილოსოფია</i>	<i>4</i>
<i>PSY304003, PSY204272 ფსიქოლოგია</i>	<i>5</i>
<i>POLS204040, POLS304041 პოლიტიკური იდეოლოგიები</i>	<i>5</i>
<i>PHIL105149 ლიტერატურა და ხელოვნება</i>	<i>5</i>
<i>HIST103032 მსოფლიო ისტორია და საქართველო</i>	<i>5</i>
<i>PHL102021 ქართული ენა და ქართველები</i>	<i>6</i>
<i>FLS107325 ინგლისური ენა B2-2</i>	<i>7</i>
<i>PRAC103903 საველე პრაქტიკა</i>	<i>7</i>



# საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნების ანოგაციები

## ANTR104005 ანთროპოლოგია

პრერეკვიზიტი: არ ავაქვს

ანთროპოლოგია – მეცნიერება ადამიანის შესახებ, როგორც ცალკე დისციპლინა, წარმოდგენილი იმ ფორმით, როგორც ჩვენ მას უნივერსიტეტის სტუდენტებს ვთავაზობთ, საქართველოში იშვიათად ისწავლება. კურსი განიხილავს ადამიანის ადგილს ბუნებაში და მის მიერ დღემდე განვლილ განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს, ასევე თანამედროვე სამყაროში არსებული ხალხებისა და საზოგადოებების მრავალფეროვნებას. სტუდენტები გაეცნობიან იმ თეორიებს, მეთოდებსა და აღმოჩენებს, რომელსაც ეფუძნება დღეს არსებული ცოდნა ადამიანზე. სემინარებზე სტუდენტები გაეცნობიან კლასიკურ და თანამედროვე ნაშრომებს, რომელთა გამოყენებითაც თავად ექნებათ საშუალება შეარჩიონ თემა და იმსჯელონ საკვანძო საკითხების გარშემო. სპეციალურად შერჩეული სამეცნიერო დოკუმენტურ ფილმები კი მათ რთულად აღსაქმელი საკითხების უკეთ გაგებაში დაეხმარებათ.

ანთროპოლოგიის საგნის მულტიდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, რაც ზოგადად ადამიანის ბუნების კვლევის სირთულით აიხსნება, სალექციო კურსის თემატიკა მრავალფეროვანია. საკითხები ანთროპოლოგიის სხვადასხვა მიმართულებიდან: პალეოანთროპოლოგია – პრეისტორია, ბიოლოგიური ანთროპოლოგია, ევოლუციური ფსიქოლოგია და კულტურული ანთროპოლოგიიდან არის შერჩეული.

ბიოლოგიური ანთროპოლოგია ადამიანის ევოლუციას შეისწავლის ათეული მილიონი წლით დათარიღებული, განამარხებული ძეგოვანი და არქეოლოგიური მასალის მიხედვით. პალეოანთროპოლოგიის სფეროდან შერჩეული ლექციები მოიცავს შემდეგ თემებს: ადამიანის გაჩენასთან დაკავშირებული საკითხები: გაჩენის ადგილი, პირველი ჰომინინები, უმაღლესი მაიმუნები და ადამიანი, ორ ფეხზე გადაადგილების, მეტყველების, პირველი ქვის იარაღების (კულტურის) გაჩენა და განვითარება, პირველი ჰომო საპიენსები, გავრცელების არეალი, პოპულაციათა მიგრაციები და კონგინენტა დასახლება, დათარიღებისა და არქეოლოგიური გათხრების მეთოდები.

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია მულტიდისციპლინარული სამეცნიერო მიმართულებაა, რომელიც ფსიქიკის ფუნქციონირების თავისებურებებს კულტურულ კონტექსტში შეისწავლის. მოლულის მიზანია სტუდენტებისათვის ადამიანის, როგორც ფსიქიკის მქონე არსების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული გრანდისციპლინური სამეცნიერო მონაცემების გაცნობა, კერძოდ: ადამიანის, როგორც ბიოფსიქოკულტურული არსების აქტივობის ამხსნელი კონცეფციები; უნივერსალურ და სპეციფიკურ, თანდაყოლილ და შეძენილ ფენომენტთა თავისებურებები ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და კულტურულ მოცემულობებში; ფსიქიკურ პროცესთა ფილოგენეტიკური და ონტოგენეტიკური განვითარების თავისებურებები; კონტექსტურ მახასიათებელთა მნიშვნელობა ფსიქიკური განვითარების პროცესში; კულტურული ინფორმაციის ფსიქიკური და ბიოლოგიური ლოკალიზაციის შესახებ არსებული თანამედროვე შეხედულებები; ფიქსირებულ ბიოლოგიურ, ფსიქიკურ და კულტურულ წარმონაქმნთა გადაცემისა და ფუნქციონირების მექანიზმები; კულტურის როლი უმაღლესი ფსიქიკური პროცესების ფუნქციონირებაში; ნორმისა და პათოლოგიის ფსიქოანთროპოლოგიური რეკონსტრუქციულიზაცია და კულტურის ადაპტაციური პოტენციალი; ანთროპოლოგიისა და ფსიქოლოგიის გადაკვეთის წერტილები და მათი ისტორიულ ურთიერთობათა თავისებურებები.



## საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნების ანოგაციები

კულტურული ანთროპოლოგია საზოგადოებების, ინსტიტუციების, რელიგიის, გრადიციებისა და სხვათა კვლევას მოიცავს. აქცენტი კეთდება თანამედროვე სამყაროში არსებული კულტურების უსამღვრო მრავალფეროვნებაზე. კულტურული ანთროპოლოგიის თემატიკაზე აგებული ლექციები: რელიგიის ფორმები, ოჯახური და ნათესაური კავშირები, კვების რეჟიმი და სხვ. სოციალური ინსტიტუციები გაშუქებულია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოპოვებულ ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით.

### **MATH105034 აზროვნების მათემატიკური წესი**

**პრერეკვიზიტი:** არ ავაქვს

კურსი საინტერესო და მისაწვდომი ფორმით მიმოიხილავს თანამედროვე მათემატიკის ძირითად დარგებს და აჩვენებს მათი გამოყენების შესაძლებლობებს. მათემატიკა ყოველდღიურ ცხოვრებაში; მათემატიკური მეთოდები; რიცხვთა თეორია; პროგრესიები და რიცხვითი მიმდევრობები; კომპლექსური რიცხვები; სიმრავლეთა თეორია; კომბინატორიკა და კომბინატორული გეომეტრია; ალბათობის თეორია; სტატისტიკა; ლოგიკა; გეომეტრია; ტოპოლოგია; გრაფთა თეორია; ჯგუფთა თეორია; თამაშთა თეორია.

### **ECO104015 ეკონომიკის საფუძვლები**

**პრერეკვიზიტი:** არ ავაქვს

ფუნდამენტური იდეები, რომელთაც ეს კურსი მოიცავს, წარმართავენ ადამიანთა ყოველდღიურ საქმიანობას, განსაზღვრავენ მათი, როგორც მომხმარებლების, მწარმოებლების, თუ მენეჯერების ქცევასა და გადაწყვეტილებებს. ჩვენი ცხოვრების დონის გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია ჩვენს უნართან შევექმნათ საქონელი და მომსახურება, ვიყოთ კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე. აქედან გამომდინარე, ძირითადი ეკონომიკური კანონების ცოდნასა და ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათთვის, ვინც აპირებს საქმიანობას ადგილობრივსა თუ გლობალურ ბიზნესში, ან თუნდაც სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

### **SCI104005 ბუნებისმეტყველება**

**პრერეკვიზიტი:** არ ავაქვს

ბუნებისმეტყველების კურსი მოიცავს ცოცხალი და არაცოცხალი სამყაროს არსის ძირითად პრინციპებს. სტუდენტები გაეცნობიან თეორიებსა და აღმოჩენებს, რომლების საფუძველზე მოხდა თანამედროვე ბუნებათმცოდნეობის ფორმირება და რომლებიც გავლენას ახდენენ ჩვენი ცხოვრების მრავალ ასპექტზე. სემინარებზე შეისწავლება „ექსპერიმენტული აზროვნების წესი“, როგორც კლასიკური და თანამედროვე ნაშრომების, ასევე სტუდენტების მიერ დამუშავებული პროექტების პრეზენტაციის კრიტიკული განხილვის გზით.



# საუნივერსიტეტო მოგადი განათლების საგნების ანოგაციები

კურსის შემადგენელი კომპონენტებია არსებითი ფიზიკა და ბიოლოგია.

ფიზიკა წარმოადგენს მსოფლმხედველობის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს. კურსი მოიცავს თანამედროვე ფიზიკის თითქმის ყველა სფეროს და მისი დანიშნულებაა სტუდენტს მისცეს უმთავრესი ცოდნა ფიზიკის არსებითი კანონებისა და კანონზომიერებების შესახებ. ბიოლოგიის ნაწილი წარმოადგენს ბიოლოგიის ისტორიასა და მეთოდოლოგიას, კრიტიკული აზროვნების [შემდგომი] განვითარებას, ექსპერიმენტული აზროვნების წესის გაცნობას. კურსი არ არის გამომწვეული საბუნებისმეტყველო სპეციალიზაციის აუდიტორიისათვის. ამიტომ, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არ იქნება გამოყენებული (თუნდაც) ელემენტარული კალკულუსი და რთული ბიოლოგიური ანალიზი.

## PH104027 ლოგიკა

პრერეკვიზიტი: არ ავაქვს

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ცნებათა ლოგიკას, სიმრავლეთა თეორიას, წინადადებათა ლოგიკას, კატეგორიული სილოგიზმის თეორიას, კვანტორების თეორიასა და მოდალურ ლოგიკას

## PH204616 ფილოსოფია

პრერეკვიზიტი: არ ავაქვს

კურსის განმავლობაში სტუდენტები გაეცნობიან ფილოსოფიური იდეების ისტორიას. ასევე, გაანალიზებული იქნება მნიშვნელოვანი ფილოსოფიური თემები და ნაჩვენები იქნება მათი კავშირი დღევანდელობასთან. ფილოსოფია გაამრებული იქნება, როგორც ერთ-ერთი საშუალება იმისა, თუ როგორ გავხდეთ ადამიანები უკეთესნი.

## PSY304003, PSY204272 ფსიქოლოგია

პრერეკვიზიტი: არ ავაქვს

სტუდენტებს მიეწოდებათ საბაზისო ინფორმაცია ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, შესახებ; ისინი გაეცნობიან საგნის სპეციფიკას, ფსიქოლოგიის ძირითად მიმართულებებს, მეთოდებს, ძირითად ფსიქიკურ ფუნქციებს, მიიღებენ წარმოდგენას პიროვნებისა და მისი ძირითადი მახასიათებლების, აგრეთვე ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკის, აგრეთვე ზოგიერთი ფსიქიკური დარღვევების, შესახებ. საგანი შედგება სამი მოდულისგან, რომელთა ინტეგრაცია საშუალებას იძლევა სტუდენტმა მიიღოს ცოდნა როგორც ფსიქოლოგიის მოგად ფსიქიკურ პროცესებზე, სოციალურ ფსიქოლოგიასა და პიროვნების ფსიქოლოგიაზე.



# საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნების ანოგაციები

## **POLS204040, POLS304041 პოლიტიკური იდეოლოგიები**

პრერეკვიზიტი: არ ავაქვს

დემოკრატიული, პროგრესზე ორიენტირებული საჯარო პოლიტიკა წარმოუდგენელია პოლიტიკური იდეოლოგიების გარეშე. საქართველოში კი ჯერ-ჯერობით ვერ ჩამოყალიბდა იდეოლოგიურ საფუძველზე გადანაწილებული პოლიტიკური ძალები. თუ საზოგადოებიდან არ იქნება მოთხოვნა, რომ პოლიტიკური სპექტრი იდეოლოგიების მიხედვით გადანაწილდეს და მათ შორის კონკურენციამ მოგვცეს უკეთესი არჩევანის გაკეთების საშუალება, დღევანდელი სიტუაცია არ შეიცვლება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტუდენტებმა იცოდნენ იმ ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ, რომლებიც მართავს მსოფლიოს მრავალ ქვეყანას, განსაკუთრებით მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს. ერუდიციის ზრდასთან ერთად აღნიშნული საგნის პრიორიტეტია კრიტიკული აზროვნების განვითარება, რაც მომავალში მსმენელებს დაეხმარებათ პოლიტიკოსების და პარტიების უკეთ შეფასებაში, გააზრებული არჩევანის გაკეთებაში.

## **PHIL105149 ლიგერაგურა და ხელოვნება**

პრერეკვიზიტი: არ ავაქვს

კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან დასავლური ლიგერაგურისა და ხელოვნების განვითარების გზას, ძირითად ტენდენციებს და მიდგომებს, ხელოვნების ნიმუშებსა და მათი რეცეპციის პარადიგმებს.

## **HIST103032 მსოფლიო ისტორია და საქართველო**

პრერეკვიზიტი: არ ავაქვს

ეს კურსი მოიცავს ლექციებსა და სემინარებს მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხების შესახებ. კურსის განმავლობაში გაანალიზდება ადამიანის ფენომენის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური წვლილი საზოგადოების განვითარების ჭრილში. ყურადღება დაეთმობა ინტერკულტურულ ურთიერთობებს და ეთნოცენტრისტულ პრობლემას, გენდერის საკითხებს.

სტუდენტები შეისწავლიან:

1. ცივილიზაციის განსაზღვრას ზოგადად, როგორც მსოფლიო, ასევე კონკრეტულად საქართველოს ისტორიის კონტექსტში;
2. ტერმინების: კულტურა, საზოგადოება, რასა, კლასი, ეთნოსი, გენდერი, რელიგია და ა.შ. განსაზღვრას მსოფლიო ისტორიის კონტექსტში;
3. პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სოციალური და კულტურული ინსტიტუტების განვითარების გზებს;
4. თვითმართველობის სისტემის განვითარებას;
5. საერთაშორისო ურთიერთობებს და ეგიკეტს;
6. კომერციის საკითხებსა და მევახშეობას;
7. სამართლის ძეგლებს;



## საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნების ანოგაციები

8. დემოგრაფიისა და მიგრაციის პრობლემებს;
9. გენდერულ პრობლემატიკას;
10. ცივილიზაციებს შორის საერთოსა და განსხვავებულობის იდენტიფიკაციის საკითხებს;
11. კულტურულ და ეთნიკურ მსგავსებასა და განსხვავებას;
12. სოციალურ და პოლიტიკურ ძვრებს

პრობლემატიკა გაანალიზდება საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკურ-კულტურული განვითარების კონტექსტშიც.

### PHL102021 ქართული ენა და ქართველები

პრერეკვიზიტი: არ გვაქვს

საგანი ინტერდისციპლინურია და ასახავს თავისუფალი უნივერსიტეტის ზოგადი განათლების პროგრამის სტრატეგიას – სტუდენტს გადასცეს ინტეგრირებული, ფართო და მრავალკომპონენტური ცოდნა ქართველების ადგილისა და როლის შესახებ მსოფლიო ცივილიზაციათა შორის. კურსი ისეა აგებული, რომ წარმოჩნდეს, ერთი მხრივ, ქართული ენის მნიშვნელობა ქართველთმცოდნეობის სფეროში, მეორე მხრივ, გაეცეს პასუხი კითხვას: რით არის უნიკალური ქართული ენა და რა ადგილი უკავია მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში.

კურსი ითვალისწინებს ქართველური ენათმეცნიერების, სოციოლინგვისტიკის, ანთროპოლოგიური ლინგვისტიკისა და საქართველოს პოლიტიკური ისტორიის კვლევების შედეგებს, შესაბამისად, პრიორიტეტულია ქართული/ქართველური ენობრივი სამყაროს/სივრცის ფორმირების საკითხების შესწავლა ქრონოლოგიური პრინციპით.

განხილული იქნება:

- ქართველური ენების წარმოშობისა და ქართული სამეცნიერო მოდელის ფორმირების საკითხები;
- ქართული ენის ეროვნულ ღირებულებად /იდენტობის კრიტერიუმად ჩამოყალიბების ისტორიულ-კულტურული პროცესი;
- ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ფორმირების სოციოლინგვისტური და ეთნოკულტუროლოგიური საკითხები;
- ქართული ენის როლი ქართული აზროვნებისა და საგანმანათლებლო სისტემის განვითარების საქმეში;
- ქართული დამწერლობის განვითარებისა და ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების ისტორიულ-კულტურული პირობები;
- ყურადღება მიექცევა თანამედროვე ვითარებასა და გლობალურ გამოწვევებს.

### FLS107325 ინგლისური ენა B2-2

პრერეკვიზიტი: სტუდენტის მიმდინარე ენობრივი დონე უნდა იყოს არა ნაკლებ Intermediate-ისა, B1+



## საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნების ანოგაციები

კურსი შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან. პირველი ნაწილი წარმოადგენს შემოდგომის კურსის გაგრძელებას. მეორე ნაწილი მოიცავს IELTS ტესტის აკადემიური ვერსიისთვის მოსამზადებელ მასალას. როგორც ცნობილია, IELTS ტესტის აკადემიური ვერსია განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურვილი აქვს სწავლა განაგრძოს ინგლისურენოვან უმაღლეს სასწავლებელში. ტესტი ამოწმებს კანდიდატის ენობრივ კომპეტენციას ოთხი მიმართულებით – კითხვა, წერა, ლაპარაკი, მოსმენა. კურსიორიენტირებულია აღნიშნული ენობრივი უნარების განვითარებაზე. ამას გარდა, სტუდენტი ეცნობა IELTS ტესტის ფორმატს და ტესტზე მუშაობის სტრატეგიებს.

### PRAC103903 საველე პრაქტიკა

პრერეკვიზიტი: არ აქვს

საველე პრაქტიკა არის თავისუფალი უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სტუდენტთათვის სავალდებულოა. პრაქტიკის გავლა მოიცავს სტუდენტთა ჯგუფების გამგზავრებას პრაქტიკის ადგილზე. პრაქტიკის დაწყებამდე, სტუდენტთა ჯგუფებს შორის ხდება ამოცანების გადანაწილება. შესაბამისად, პრაქტიკის მსვლელობისას, ამ ამოცანებიდან გამომდინარე, მიმდინარეობს კონკრეტული აქტივობების განხორციელება. აქტივობები მიზნად ისახავს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და შემეცნებითი მიზნების მიღწევას. საველე პრაქტიკას უძღვება ჯგუფის კოორდინატორი.